

ზედაპირები და მათი დამუშავება

შესაღები, მინაბოჭკოვანი ფლიზელინით კედლების დამუშავება



აღწერა

თანამედროვე სამშენებლო მასალები, მათი სხვადასხვაგვარი მახასიათებლებითა და თვისებებით, ასევე გარემოს ზემოქმედებით მათ მიმართ უფრო აქტუალურსა და მნიშვნელობას სძენს, თუ რამდენად სწორი მასალებით მოხდება მათი დამუშავება და დაცვა. აქედან გამომდინარე, Caparol-ი გთავაზობთ ფართო ასორტიმენტს. ზედაპირების მოთხოვნებზე მორგებული მრავალი სახის მასალა, შესაძლებლობას იძლევა მივიღოთ, სწორი და ელასტიური ფასადისა და ინტერიერის ზედაპირები, ასევე სტრუქტურირებული დანაფარები და მოვანდინოთ ხისა და რკინის დაცვა.

ამ ტექნიკურ ინფორმაციაში წარმოგიდგინთ მინაბოჭკოვანი ფლიზელინების დატანის მეთოდოლოგიას, რომელიც უზრუნველყოფს ინტერიერის კედლების დაცვას მიკრობზარების გაჩენისაგან. ქმნის ერთგვაროვან, მყარ და მზიდუნარიან ზედაპირს შემდგომში დისპერსიული და მინერალური საღებავების დასატანად.

რეკომენდირებული პროდუქტების გამოყენების წინ, აუცილებელია გაეცნოთ შესაბამისი პროდუქტის ტექნიკურ ინფორმაციას.

პროდუქტები:

წებო - **Capacoll GK**

მინაბოჭკოვანი ფლიზელინი - **Akkordvlies G40K**





ნაბიჯი 1, შემოწმება/აზომვა:

მასალის დატანამდე უნდა მოხდეს მინაბოჭკოვანი ფლიზელინით დასამუშავებელი ზედაპირის შემოწმება, გადაზომვა. შ



ნაბიჯი 2, მინაბოჭკოვანი ფლიზელინის მომზადება/დაჭრა:

გადაზომვითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ, მღებავმა უნდა დაჭრას შესაბამის სიგრძეებად და გაამზადოს მინაბოჭკოვანი ფლიზელინი შემდგომში კედელზე მისაწებებლად. ფლიზელინის დასაჭრელად გამოიყენება საკანცელარო საჭრელი დანა.



ნაბიჯი 3, ფლიზელინის სპეციალური წებოს კედელზე დატანა:

დასამუშავებლად გამზადებული ზედაპირზე ხდება მინაბოჭკოვანი ფლიზელინის სპეციალური მისაწებებელი საშუალების კედელზე დატანა და ერთგვაროვნად გადანაწილება.

დატანა ხდება სამღებრო საშუალო ბეწვიანი გორგოლაჭით.

აუცილებლად უნდა მოხდეს მხოლოდ იმდენი მასალის დატანა კედელზე, რომ არ მოხდეს წებოს ნაადრევი შრობა, რაც ვერ უზრუნველყოფს შემდგომში მინაბოჭკოვანი ფლიზელინის სათანადო მიწებებას კედელზე.



ნაბიჯი 4, მინაბოჭკოვანი ფლიზელინის მიწება:

კედელზე წებოს დატანის შემდეგ აუცილებელია მალევე მოხდეს დაჭრილი და გამზადებული მინაბოჭკოვანი ფლიზელინის წებოზე მიფიქსირება და კარგად მიწება პლასტმასის ინსტრუმენტის გამოყენებით. აუცილებელია, რომ მინაბოჭკოვანი ფლიზელინი კარგად იქნას გაშლილი რათა არ დარჩეს ჰაერის ბუშტუკები და დეფექტები კედელსა და ფლიზელინს შორის. მიწებებულ ფლიზელინზე, რეკომენდირებულია წებოიანი გორგოლაჭის გადატარება. ეს მეთოდი

უზრუნველყოფს ფლიზელინის კარგ ფიქსაციას კედელზე და ასევე მასში არსებული ფორების შევსებას, რაც შეამცირებს საღებავის ხარჯს.



ნაბიჯი 5, ფლიზელინის გადაბმა/ორმაგი ჭრა:

ფლიზელინის მიწებებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ მისი გაკვრა არ ხდება „შპალერის“ ან შესადები ქაღალდის პრინციპით და კანტების ერთმანეთზე მიღების პრინციპით.

მინაბოჭკოვანი ფლიზელინის გადაბმა ხდება ორმაგი ჭრის პრინციპით. ორმა ფლიზელინმა ერთმანეთი უნდა გადაფაროს მაქსიმუმ 5 სმ-ს მანძილზე და შემდგომში მოხდეს საკანცელარიო დანის გამოყენებით.

გავითვალისწინეთ, რომ ძალის დატანა ორმაგი ჭრის მომენტში არ არის რეკომენდირებული, რომ ჭრისას არ დაზიანდეს კედლის ზედაპირი, წინააღმდეგ შემთხვევაში დანის მიერ დაზიანებული კედლის ზედაპირი დეფექტად გამოჩნდება სამღებრო სამუშაოების ჩატარების შემდეგ.



ნაბიჯი 6, ფლიზელინით კუთხეების დამუშავება:

როგორც წინა საფეხურებზე აღვწერეთ, ფლიზელინის მიწებებამდე ხდება მისი წინასწარ დაჭრა/გამზადება. რეკომენდირებულია ჭრის და კედლის შიდა კუთხეებზე დაახლოებით 2-3 სმ ზედმეტად იყოს გადასული და შემდეგ კედლის კუთხის შესაბამისად ჩაჭრა და ზედმეტი ნაწილის მოშორება.

იგივე მეთოდი გამოიყენება სტანდარტულ კუთხეებზე ფლიზელინით დამუშავებაც.

მინაბოჭკოვანი ფლიზელინი არის შედარებით მყიფე და კუთხეზე გადაკეცვის მცდელობისას შესაძლოა გამოვიდეს უსწორმასწორო ზედაპირი.



ნაბიჯი 7, სამღებრო სამუშაოები:

ფლიზელინის კედელზე გაკვრის შემდეგ შესაძლებელია მისი ნებისმიერი მინერალური ან დისპერსიული საღებავებით შეღებვა. საღებავის გამოყენებამდე არ საჭიროებს გრუნტის დატანას. ღებვამდე რეკომენდირებულია 2 მეთოდის გამოყენება, რათა ფლიზელინზე არ გვექონდეს საღებავის ხარჯის ზრდა. მეთოდი 1: თითოეული ფლიზელინის ზოლის გაკვრის შემდეგ, გადაატარეთ წებოთი გაჟღენთილი გორგოლაჭი, რომელიც შეავსებს ფლიზელინის

ფორებს.

მეთოდი 2: ფლიზელინით დამუშავებული კედლები გადაფითხეთ ძალიან თხელი ფენა პასტისებრი ფითხით, რომელიც შესაძლებლობას მოგცემთ ზედაპირის შეწოვის უნარის გათანაბრებას.

ტექნიკური კონსულტაცია:

შპს. კაპაროლ ჯორჯია
აღ.ქართველიშვილის ქ. N8
0198 თბილისი, საქართველო
ელ.ფოსტა: office@caparol.ge
www.caparol.ge